



ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



N 48 14
28/02/2019

14-48-4-201902281333



ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, მეორე პუნქტისა და „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №48 84 განკარგულების საფუძველზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა :

მუხლი 1.

ცნობად იქნეს მიღებული ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში დანართი N1, დანართი N2, დანართი N3, დანართი N4 და დანართი N5 შესაბამისად.

მუხლი 2.

განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

ნატალია კობახიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიში

ბოლო წლებში არჩეული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც აუცილებელი წინა პირობაა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის, რითაც თავის მხრივ უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის განვითარება, ტურიზმის ხელშეწყობა.

2018 წლის 12 თვის შესრულების მოკლე მიმოხილვა

2018 წლის ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების წლიური გეგმა შეადგენს 11411 ათას ლარს, ფაქტიურად შემოსულია 11247,1 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 98,6%-ით. (გასული წლის ანალოგიურ პერიოდში შემოსული იყო 10287,7 ათასი ლარი, რაც 959,4 ათასი ლარით ნაკლებია მიმდინარე წლის შემოსავლებზე). ბიუჯეტის წლიური გეგმა გადასახდელების ნაწილში შეადგენს 14715,4 ათას ლარს, ფაქტიურად გახარჯულია 10245,3 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 69,7%-ით. (გასული წლის ანალოგიურ პერიოდში გახარჯული იყო 8343,4 ათასი ლარი, რაც 1901,9 ათასი ლარით ნაკლებია მიმდინარე წლის გადასახდელებზე). არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 3616,1 ათასი ლარი. კლებამ 70,8 ათასი ლარი.

ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 3370,6 ათას ლარს. წლის განმავლობაში ნაშთი გაიზარდა 1001,8 (სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერის ხარჯზე) ათასი ლარით და 2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 4342,4 ათასი ლარი.

ცალკეული სახეობების მიხედვით შემოსავლების გეგმა შესრულებულია შემდეგნაირად:

ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული საშემოსავლო გადასახადის წლიური გეგმა შეადგენდა 240,0 ათას ლარს, ფაქტიურად მიღებულია 232,5 ათასი ლარი. (2017 წელს მიღებულია 283,8 ათასი ლარი) გეგმა შესრულებულია 97,0%-ით.

საწარმოთა ქონების გადასახადის დამტკიცებული გეგმა (1250,0 ათასი ლარი) შემცირდა 1150,0 ათასი ლარით (და ჩანაცვლდა მთავრობის N1436 განკარგულებით გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერით) და დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 100,0 ათასი ლარი. ფაქტიურად შემოსულია 50,4 ათასი ლარი. (2017 წლის ანალოგიურ პერიოდში შემოსული იყო 2018,3 ათასი ლარი, 1967,9 ათასი ლარით მეტი 2018 წელთან შედარებით). ფიზიკურ პირთა ქონებაზე, არაეკონომიური საქმიანობისათვის მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 2,7 ათასი ლარი. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი მიღებულია 25,2 ათასი ლარი. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გეგმა შეადგენდა 414,9 ათას ლარს, ფაქტიურად შემოსულია 280,6 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 68,0%-ით.

სხვა შემოსავლები წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 342,3 ათასი ლარი. ფაქტიურად შემოსულია 364,2 ათასი ლარი. (გასული წლის ანალოგიურ პერიოდში შემოსული იყო 892,4 ათასი ლარი, რაც 528,2 ათასი ლარით აღემატება მიმდინარე წლის მონაცემებს). გეგმა შესრულებულია 107,0%--ით. საწარმოთა ქონების გადასახადის მსგავსად, აქაც მოხდა დამტკიცებული წლიური გეგმის (780,0 ათასი ლარი) შემცირება 650,0 ათასი ლარით. შემოსავალი საკუთრებიდან გეგმით გათვალისწინებული იყო 181,2 ათასი ლარი, ფაქტიურად შემოსულია 182,0 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 101,0%-ით. მ.შ. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი გეგმით გათვალისწინებული იყო 130,0 ათასი ლარი. ფაქტიურად შემოსულია 129,7 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 100,0%-ით. (გასული წლის ანალოგიურ პერიოდში შემოსული იყო 618,2 ათასი ლარი). შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან შემოსულია 1,7 ათასი ლარი.

ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმით გათვალისწინებულია 28,0 ათასი ლარი, შემოსულია 30,3 ათასი ლარი, გეგმა შესრულებულია 109,0 %-ით.

დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტის გეგმა შეადგენდა 50,0 ათას ლარს. ფაქტიურად შემოსულია 50,6 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 102,0%-ით.

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურების გეგმა შეადგენდა 4,0 ათას ლარს, ფაქტიურად შემოსულია 7,9 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 198,0%-ით. აღნიშნული შემოსავალი არის მთლიანად შენობა-ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან მიღებული შემოსავალი.

ჯარიმებითა და სანქციებით მიღებული შემოსავალი გეგმით გათვალისწინებული იყო 90,0 ათასი ლარი, ფაქტიურად შემოსულია 89,6 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 100,0%-ით.

შემოსულია აგრეთვე სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 0,2 ათასი ლარის ოდენობით.

შემოსავალი შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან გეგმით გათვალისწინებული იყო 37,0 ათასი ლარი. ფაქტიურად შემოსულია 51,7 ათასი ლარი. (ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლო (42,6 ათასი ლარი) და საბინაო ამხანაგობების მიერ გადახდილი თანადაფინანსება (9,1 ათასი ლარი).

არაფინანსური აქტივების კლების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 66,5 ათას ლარს. ფაქტიურად შემოსავალი მიღებულია 70,8 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 107,0%-ით.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერის გეგმა შეადგენდა 10220,9 ათას ლარს. მიღებულია სრულად. მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერი მიღებულია 2642,2 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი 150,0 ათას ლარი. სპეციალური ტრანსფერი (მთავრობის განკარგულება N1436) მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად 1800,0 ათასი ლარი და კაპიტალური ტრანსფერი მთავრობის განკარგულება N136 საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 4753,4 ათასი ლარი და განკარგულება N957 სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებისათვის 875,4 ათასი ლარი.

წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთი შეადგენდა 3370,6 ათას ლარს. წლის განმავლობაში ფინანსური აქტივები გაიზარდა 1001,8 ათასი ლარით და 2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 4372,4 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის 2018 წლის დამტკიცებული გეგმა გადასახდელების ნაწილში შეადგენდა 14715,4 ათას ლარს. ფაქტიურად გახარჯულია 10245,3 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 70,0%-ით.

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით გადასახდელების წლიური შესრულება შემდეგნაირია:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების დასაფინანსებლად გეგმით გათვალისწინებული იყო 2274,9 ათასი ლარი. ფაქტიურად გახარჯულია 2112,8 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 92,9%-ით. მათ შორის წარმომადგენლობითი ორგანოს ხარჯების დასაფინანსებლად გეგმით გათვალისწინებული იყო 436,7 ათასი ლარი, გახარჯულია 435,4 ათასი ლარი. აღმასრულებელი ორგანოს ხარჯების დასაფინანსებლად გეგმით გათვალისწინებული იყო 1837,2 ათასი ლარი, გახარჯულია 1677,4 ათასი ლარი. მათ შორის 43,3 ათასი ლარი გახარჯულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 ივნისის N1213 განკარგულებით გამოყოფილი ტრანსფერის ნაშთიდან. სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა სტიქიით დაზიანებული ჯვარისის, ორპირის, ხრესილისა და კურსების ადმინისტრაციული შენობის სახურავებს. 1.3 ათასი ლარი გახარჯულია მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულებიდან, ორპირის, კურსებისა და ხრესილის ადმინისტრაციული შენობების სახურავების შეკეთებაზე ზედამხედველობისათვის. იგივე მიზნით საკუთარი შემოსავლებიდან გაიხარჯა 0,7 ათასი ლარი. 14,8 ათასი ლარით შეძენილია 9 ერთეული კომპიუტერი და 9 ერთეული პრინტერი. შეძენილი იქნა საშობაო ნამვის ხე 0.5 ათასი ლარის ღირებულების.

რეგიონალური ინიციატივების ცენტრის „ნათელი მომავლის“ მიერ სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. ამ სამუშაოების თანადაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადარიცხულია 12.0 ათასი ლარი. კულტურული სპორტული და საგანმანათლებლო ღონისძიებებისათვის გახარჯულია 13.2 ათასი ლარი. საოფისე ავეჯი შეძენილია 4,1 ათასი ლარით. 3,0 ათასი ლარი გადაირიცხა თეატრალური ფესტივალ „იმერეთი 2018 -ის“ საორგანიზაციო უზრუნველყოფისათვის. 1,0 ლარის ოდენობით ფულადი ჯილდო გადაეცა

წარმატებულ სპორტსმენს ილია სულამანიძეს და 0,3 ათასი ლარი მის მწვრთნელს გრიგოლ სოფრომაძეს. სამხატვრო სკოლის წარმატებულ კურსდამთავრებულ დიანა ჩუტკერაშვილის გადაეცა ფულადი ჯილდო 0,3 ათასი ლარის ოდენობით. დაჯილდოვდნენ აგრეთვე ესეების კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები. 200-200 ლარი ფულადი ჯილდო გადაეცა 5 წარჩინებულ მოსწავლეს. 2,6 ათასი ლარი გახარჯულია მინი ფეხბურთის ტურნირის ორგანიზებისათვის და გამარჯვებულთა ფულადი ჯილდოებისათვის. ღვაწლმოსილ სპორტსმენს იოსებ ლორთქიფანიძეს გადაეცა ფულადი ჯილდო 0,3 ათასი ლარის ოდენობით. წინასახალწლოდ ფულადი ჯილდო გადაეცათ წარჩინებულ სპორტსმენებს და კულტურის დარგის ღვაწლმოსილ მუშაკებს, თითოეულს 100-100 ლარის ოდენობით და სულ გაიხარჯა 3,0 ათასი ლარი.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის მუნიციპალიტეტში ხორციელდება პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, წვევამდელთა და სამხედრო სარეზერვო სამსახურისათვის პიროვნებების გაწვევის უზრუნველყოფა და შესაბამის სტრუქტურებში მათი ტრანსპორტირება. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 86,0 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულია 85,7 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 99,7%-ით. ხარჯვა განხორციელდა მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან. 3,8 ათასი ლარით სარემონტო სამუშაოები ჩატარდა სამხედრო სამსახურის სამუშაო ოთახებს. ხარჯვა განხორციელდა 2017 წლის მიზნობრივი ტრანსფერის ნაშთიდან.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში ფინანსდება საგზაო, სანიაღვრე, გარე განათების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ბინისმესაკუთრეთა ამხანაგობების პროგრამები, ქალაქში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებები, საქალაქო ტრანსპორტის ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებები. ასევე სამომავლო სარეაბილიტაციო ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და ექსპერტიზის ხარჯები.

საქალაქო ტრანსპორტის სუბსიდირებისათვის წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 213,9 ათასი ლარი. გახარჯულია 213,7 ათასი ლარი, გეგმა შესრულებულია 99,9%-ით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალური შიდა გზების მოვლა-შენახვისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 4798,6 ათასი ლარი. გახარჯულია 2944,4 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 61,4%-ით. მათ შორის 50,0 ათასი ლარი გახარჯულია 2017 15 ივნისის N1213 მთავრობის განკარგულებიდან საწირისა და ახალსოფლის შიდა გზების (11,2 ათასი ლარი), საწირე-ძიროვნის(1,4 ათასი ლარი) დაბადველი-ძიროვნის (16,2 ათასი ლარი), საწირის შიდა გზების (12,9 ათასი ლარი) მოხრეშვისათვის და დაბადველში ბოგირის მოწყობისათვის (8,2 ათასი ლარი).

მთავრობის 2017 წლის 06 ივლისის N1401 განკარგულებიდან გახარჯულია 504,3 ათასი ლარი, ტყიბულის ტერიტორიაზე ქუჩების (ბერეკაშვილის, თაყაიშვილის, ფიროსმანის, გაბრიადის მე-2 შესახვევი, დუმბაძის, ბარათაშვილის, იმერეთის, ლესელიძის, ქასრაშვილის, წერეთლის, ჭავჭავაძის, ჭელიშვილის, თაბუკაშვილის, კინოთეატრ „შაორი“ს მიმდებარე ტერიტორია, მერკვილადის, ტყვარჩელის, ნინოშვილის, ფორჩხიძის, ცქიფურიშვილის, სააკაძის, თბილისის, სვანეთის, ბრეგვაძის, რაჭის) ბეტონის საფარით მოწყობის მიზნით.

მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულების ნაშთიდან გზების ბეტონის საფარით მოწყობის მიზნით გახარჯულია 402,9 ათასი ლარი. აქედან 42,6 ათასი ლარი ნაბოსლევის, 5,8 ათასი ლარი ცუცხვათის, 1,7 ათასი ლარი ძუყნურის, 10,8 ათასი ლარი საწირის, 122,5 ათასი ლარი კურსების, 64,3 ათასი ლარი ორპირის და 41,7 ათასი ლარი მუხურის ადმინისტრაციულ ერთეულებში, მერკვილადის ქუჩის ბეტონის საფარით მოწყობის მიზნით გაიხარჯა 48,0 ათასი ლარი, ცქიფურიშვილის ქუჩაზე 4,4 ათასი ლარი ხოლო ჯავახიშვილის ქუჩაზე 8,8 ათასი ლარი. 39,5 ათასი ლარი გზებზე სამშენებლო სამუშაოების საინჟინრო ზედამხედველობისათვის.

2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებით გამოყოფილი ტრანსფერიდან გახარჯულია 1669,1 ათასი ლარი. მათ შორის 45,0 ათასი ლარი ძიროვნის, 103,5 ათასი ლარი მუხურის, 129,6 ათასი ლარი ძუყნურის, 102,8 ათასი ლარი ცუცხვათის, 76,5 ათასი ლარი საწირის, 94,6 ათასი ლარი კურსების, 177,0 ათასი ლარი ჯვარისის, 61,6 ათასი ლარი ციხის, 74,5 ათასი ლარი ძმუისის, 74,3 ათასი ლარი გურნის და 18,0 ათასი ლარი სოჩხეთის ტერიტორიულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების ბეტონის საფარით მოწყობის მიზნით, ხოლო 696,9 ათასი ლარი ტყიბულში, თაბუკაშვილის ქუჩის ბეტონის

საფართო მოწყობის მიზნით. მთავრობის ამ განკარგულებების თანადაფინანსების მიზნით საკუთარი შემოსავლებიდან გახარჯულია 171,2 ათასი ლარი, ხოლო საინჟინრო მონიტორინგის ზედამხედველობისათვის 107,0 ათასი ლარი.

შედეგად მივიღეთ რეაბილიტირებული გზების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლითაც სარგებლობა იქნება უსაფრთხო და კომფორტული.

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ნორმალური სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. ქალაქის ქუჩების სისტემატური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, უპატრონო ცხოველების იზოლირება, რაც გააუმჯობესებს ქალაქის სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გეგმით გათვალისწინებული იყო 325,2 ათასი ლარი. გახარჯულია 324,4 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 99,8 %-ით.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის განვითარების ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ნაგებობების მოვლა-შენახვა. გზებისა და ხიდების, გარე განათებების, ტროტუარების მოაჯირების, სანიაღვრე არხების, შადრევნების მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია, საცხოვრებელი სახლების ბინისმესაკუთრეთა ამხანაგობების დახმარება. ამ პროგრამების განსახორციელებლად დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 3124,9 ათასი ლარი. გახარჯულია 1638,8 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია მხოლოდ 52,5 %-ით. მათ შორის კომუნალური მეურნეობის განვითარების სუბსიდირებისათვის გახარჯულია 265,9 ათასი ლარი, გარე განათების არსებული ქსელის ელექტროენერჯის საფასურის დასაფარად 72,3 ათასი ლარი და გარე განათების მიმდინარე რემონტისათვის შეძენილია 87,8 ათასი ლარის ღირებულების კაბელი და გარე განათების სანათები.

ბინათმშენებლობის მოვლა-შენახვის მიზნით გახარჯულია 949,0 ათასი ლარი. მათ შორის 52,1 ათასი ლარი მთავრობის 2017 წლის 15 ივნისის N1213 განკარგულებიდან, მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების სახურევების რეაბილიტაციის მიზნით. 2,2 ათასი ლარი მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის N39 განკარგულებიდან, 4,0 ათასი ლარი მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულებიდან სახურავების რეაბილიტაციაზე საინჟინრო ზედამხედველობა, 132,6 ათასი ლარი იმავე განკარგულებიდან მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების ეზოების მოწყობის მიზნით. მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებიდან გახარჯულია 324,2 ათასი ლარი, მრავალსართულიანი კორპუსების ეზოების მოწყობის მიზნით. მთავრობის 2018 წლის 03 მაისის N957 განკარგულებიდან გახარჯულია 325,8 ათასი ლარი სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის შეძენილი იქნა სამშენებლო მასალა და სახურავი. ამავე მიზნითა და ამავე ობიექტებზე საკუთარი შემოსავლებიდან გახარჯულია 51,6 ათასი ლარი. (5,1 ათასი ლარი სამუშაოების საინჟინრო ზედამხედველობა და 46,5 ათასი ლარი პროექტების თანადაფინანსება.

შედეგად მივიღეთ რეაბილიტირებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობები, მოსახლეობის გაზრდილი კმაყოფილება. მცირდება შენობის შემდგომი დაზიანების ხარისხი ცუდი ამინდის პირობებში.

საწირეში სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობის მიზნით გახარჯულია 263,8 ათასი ლარი. აქედან 255,6 ათასი ლარი მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებიდან.

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მიზნით გახარჯულია 140,8 ათასი ლარი. მათ შორის 38,5 ათასი ლარი გახარჯულია მთავრობის 2017 წლის 15 ივნისის N1213 განკარგულებიდან სტიქიით დაზიანებული ნაპირსამაგრი სამუშაოებისა და საყრდენი კედლების მოწყობის მიზნით. საყრდენი კედლები მოეწყო მერკვილადის ქუჩა N20 და ჭავჭავაძის ქუჩა N15-ის მიმდებარედ. ნაპირსამაგრი სამუშაოები ჩატარდა გელათის ქუჩაზე. 2,3 ათასი ლარი მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულებიდან, შესრულებული სამუშაოების საინჟინრო ზედამხედველობისათვის. საკუთარი სახსრებიდან გახარჯულია 61,5 ათასი ლარი. მათ შორის 19,7 ათასი ლარი - შუქნიშნის მოწოდებისა და მონტაჟისათვის, 2,9 ათასი ლარი გარე მოხმარების საათის შეძენა და მონტაჟისათვის და 26,2 ათასი ლარი მემხატეთა შრომის დიდების მემორიალის მშენებლობისათვის. 1,2 ათასი ლარი შესრულებული სამუშაოების საინჟინრო ზედამხედველობისათვის. 2,5 ათასი ლარით სოფლის მოსახლეობისათვის შეძენილია ლითონის მილები. კურორტ ცხრაჯვარის ტერიტორიული განაშენიანების წინასაპროექტო კვლევისათვის გახარჯულია 38,4 ათასი ლარი.

სოფლის მხარდასაჭერი პროგრამების ფარგლებში გაიხარჯა 4,6 ათასი ლარი. ხარჯვა განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2015 წლის N506 და 2016 წლის N265 განკარგულებით გამოყოფილი ტრანსფერის ნაშთიდან.

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით დაწყებით და ზოგად განათლებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად ერთერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის: ბაღის პერსონალის შრომის ანაზღაურებას, ბავშვთა კვებას, შენობების გათბობას, საახალწლო ღონისძიებებს და სხვა მიმდინარე ხარჯებს. ამ მიზნით წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 1263,7 ათასი ლარი. ფაქტიურად გახარჯულია 1134,4 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 89,8%-ით. მათ შორის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სუბსიდირების მიზნით გახარჯულია 950,8 ათასი ლარი, 2,8 ათასი ლარი გადაერიცხა შპს სოკარ ჯორჯია გაზს, 8,0 ათასი ლარი სს ენერგო-პრო-ჯორჯიას და 12,2 ათასი ლარი შპს გაერთიანებულ წყალმომარაგებას, მე-6 საბავშვო ბაღის ქსელთან მიერთების საფასური. 3,5 ათასი ლარი გაიხარჯა სოფელ ჯვარისაში, მუხურაში, გურნისა და სოჩხეთში ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობის საპროექტო სამუშაოებისათვის. საქართველოს მთავრობის 2018 წლის N136 განკარგულებიდან ამავე სოფლებში ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობისათვის გახარჯულია 111,5 ათასი ლარი. 2,4 ათასი ლარი კი ბაღების მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობისათვის. 17,4 ათასი ლარით შეძენილია ტყიბულის N6 საბავშვო ბაღისათვის ავეჯი, 2,3 ათასი ლარის ღირებულების სამზარეულოს ჭურჭელი, 5,0 ათასი ლარით შეძენილია საბნები, ლეიბები და ხალიჩები, ხოლო 2,7 ათასი ლარით ერთი ერთეული სარეცხი მანქანა, გაზექურა და მაცივარი.

პროგრამის მიზანია საფუძველი ჩაუყაროს ბავშვთა ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ განვითარებას, ხოლო შედეგად მივიღებთ გაუმჯობესებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისათვის მზაობას.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. მუნიციპალიტეტი აგრძელებს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სპორტული ღონისძიებების დასაფინანსებლად წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 810,8 ათასი ლარი, გახარჯულია 568,0 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 70,1%-ით. მათ შორის 12,0 ათასი ლარი გახარჯულია სტიქიით დაზიანებული მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სახურავის რეაბილიტაციისათვის. 1,2 ათასი ლარი გახარჯულია სპეციალური დანიშნულების ტრანსფერიდან, სპორტის სასახლის რეაბილიტაციისათვის (კრედიტორული დავალიანება). 33,5 ათასი ლარი გახარჯულია მთავრობის 2017 წლის 15 ივნისის N1213 განკარგულების ნაშთიდან, სტიქიით დაზიანებული ორპირის კულტურის სახლის სახურავის გადახურვითი სამუშაოებისათვის. 6,3 ათასი ლარი გახარჯულია თეატრის ვენტილაცია-კონდენცირების საპროექტო სამუშაოებისათვის.

2018 წელს ფუნქციონირება დაასრულა ა(ა)იპ სპორტულმა კომპლექსმა-კოდი 05 01 02 (127,2 ათასი ლარი), ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლამ-კოდი 05 01 06 (30,9 ათასი ლარი) ა(ა)იპ რაგბის სპორტულმა სკოლამ -კოდი 05 01 07 (32,5 ათასი ლარი), ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბმა „ტყიბული“-კოდი 05 01 04 (31,8 ათასი ლარი) და ყველა მათი ფუნქცია და დარჩენილი რესურსი შეერწყა ა(ა)იპ სპორტულ ცენტრს-კოდი 050101 და მის მიერ გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 275.2 ათასი ლარი.

კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 611,4 ათასი ლარი. ფაქტიურად გახარჯულია 611,1 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 100,0%-ით.

2018 წელს ფუნქციონირება დაასრულა ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლემ-კოდი 05 02 02 (57,1 ათასი ლარი), ა(ა)იპ ხელოვნების სკოლამ-კოდი 05 02 03 (82,8 ათასი ლარი), ა(ა)იპ სამხატვრო სკოლამ -კოდი 05 02 04 (29,7 ათასი ლარი), ა(ა)იპ თეატრმა-კოდი 05 02 05 (70,7 ათასი ლარი), ა(ა)იპ საინფორმაციო ცენტრმა- კოდი 05 04 (18,6 ათასი ლარი), ა(ა)იპ ტურიზმის განვითარების ცენტრმა-კოდი 05 05(16,3 ათასი ლარი). ყველა მათი ფუნქცია და დარჩენილი რესურსი შეერწყა ა(ა)იპ კულტურის ობიექტების გაერთიანებას -კოდი 050201 და მის მიერ გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 335,8 ათასი ლარი.

პროგრამის მიზანია გაუმჯობესებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, გამართულად ფუნქციონირებადი სპორტული და სახელოვნებო სკოლები, ხოლო შედეგად მივიღებთ

ორგანიზებულად ჩატარებულ შეჯიბრებებსა და ტურნირებს, სპორტულ და კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმულ ბავშვებსა და მოზარდებს და მეტი ყურადღება დაეთმობა ქართული კულტურის პოპულარიზაციას.

ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ტყიბულის მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი ჯამრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიის კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით. „C“ ჰეპატიტის სკრინინგის განხორციელება. პროგრამების დაფინანსების მიზნით წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 67,7 ათასი ლარი. გახარჯულია სრულად. გეგმა შესრულებულია 100,0%-ით. დაფინანსება განხორციელდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან.

სოციალური პროგრამები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 409,8 ათასი ლარი. ფაქტიურად გახარჯულია 398,8 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 97,4%-ით. მათ შორის ინდივიდუალური დახმარების პროგრამით გაიხარჯა 182,3 ათასი ლარი და ამ პროგრამით დახმარება გაეწია დიალიზზე მყოფ მოქალაქეებს, მრავალშვილიანი დედებს, უსინათლო მოქალაქეებს, ეპილეფსიით და პარკისონიზმით დაავადებულ მოქალაქეებს, ონკოლოგიური დაავადების მქონე მოქალაქეებს, შშმ პირებს, 100 წელს გადაცილებულ ორ მოქალაქეს, ცერებრალური დამბლით დაავადებულ მოქალაქეებს, ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია შეჭირვებულ ოჯახებს. დაფინანსდა გეგმიური და გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციების ღირებულება. ფულადი დახმარება გაეწია შახტაში დაღუპულთა და დაშავებულთა ოჯახებს, სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებისათვის შეძენილი იქნა სასკოლო ნივთები. ახალშობილთა ოჯახების დახმარების მიზნით გაიხარჯა 22,5 ათასი ლარი, სარიტუალო მომსახურება გაეწია გარდაცვლილ იძულებით გადაადგილებული პირის და სამამულო ომის მონაწილის ოჯახს და გაიხარჯა 1,2 ათასი ლარი, საცხოვრებელი უზრუნველყოფა და ხანძრით დაზარალებული ოჯახების დახმარების მიზნით გახარჯულია 65,6 ათასი ლარი. (6 ოჯახისათვის შეძენილია საცხოვრებელი სახლი, საერთო ღირებულებით 26,5 ათასი ლარი), უფასო სასადილოსა და სოციალური სამრეცხაოს დაფინანსების მიზნით გახარჯულია 69,3 ათასი ლარი. ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფის მიზნით გაიხარჯა 9,6 ათასი ლარი. ინტეგრირებულ საქმიანობათა დღის ცენტრი დაფინანსდა 10,5 ათასი ლარით.

სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფა ხორციელდება საკრებულოს 2018 წლის 28 მარტის N39 დადგენილებით მიღებული წესისა და მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული ბრძანებების საფუძველზე. სარეზერვო ფონდიდან დახმარების სახით გახარჯულია 38,5 ათასი ლარი. დახმარება გაეწია სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეებს, შახტაში ავარიის შედეგად დაღუპულ და დაზარალებულთა ოჯახებს.

ნატალია კობახიძე




საკრებულოს თავმჯდომარე
ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების ბალანსი

დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის 12 თვის ფაქტი
1	2	3
I. შემოსავლები	11344.5	11176.3
გადასახადები	781.3	591.2
სოციალური შენატანები		
გრანტები	10220.9	10220.9
სხვა შემოსავლები	342.3	364.2
II. ხარჯები	7799.7	6629.2
შრომის ანაზღაურება	1472.4	1465.1
საქონელი და მომსახურება	806.1	742.4
პროცენტი	53.2	53.1
სუბსიდიები	2955	2933.2
გრანტი	0.5	0.4
სოციალური უზრუნველყოფა	357	343
სხვა ხრჯი	2155.5	1092
III. საოპერაციო სალდო	3544.8	4547.1
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	6849.2	3545.3
ზრდა	6915.7	3616.1
კლება	66.5	70.8
V. მთლიანი სალდო	-3304.4	1001.8
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-3304.4	1001.8
ზრდა	0	1724.8
ვალუტა და დეპოზიტები	0	1724.8
კლება	3304.4	723
ვალუტა და დეპოზიტები	3304.4	723
VII. ვალდებულების ცვლილება	0	0

ვალუტა და დეპოზიტები	0	0
საშინაო	0	0
კლება	0	0
სხვა კრედიტორული დავალიანებები	0	0
VIII. ბალანსი	0	0

ნატალია კობახიძე



საკრებულოს თავმჯდომარე


ტიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობები (12 თვე)

შემოსულობების სახეების დასახელება	კოდი	2018 წლის გეგმა	2018 წლის 12 თვის ფაქტი
1	2	3	4
შემოსულობები		11,411.0	11,246.7
შემოსავლები	1	11,344.5	11,175.9
არაფინანსური აქტივების კლება	31	66.5	70.8
შემოსავლები	1	11,344.5	11,175.9
გადასახადები	11	781.3	590.9
გადასახადი შემოსავალზე	111	240.0	232.1
ქონების გადასახადი	113	541.3	358.8
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	100.0	50.4
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	2.6	2.6
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე		2.6	2.6
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე		0.0	0.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	23.8	25.2
იურიდიულ პირებიდან		15.8	15.8
ფიზიკური პირებიდან		8.0	9.4
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	414.9	280.6
იურიდიულ პირებიდან		400.0	261.7
ფიზიკური პირებიდან		14.9	18.9
სხვა გადასახადები ქონებაზე			0.0
სხვა გადასახადები		0.0	0.0
გრანტები	13	10,220.9	10,220.9
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი		10,220.9	10,220.9
გამოთანაბრებითი	1311	2,642.2	2,642.2
მიზნობრივი	1311	150.0	150.0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	1311	1,800.0	1,800.0

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	1312	5,628.7	5,628.7
სხვა შემოსავლები	14	342.3	364.1
შემოსავლები საკუთრებიდან	141	181.2	182.0
პროცენტები	1411	50.0	50.6
რენტა	1415	131.2	131.4
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	130.0	129.7
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	1.2	1.7
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა		0.0	0.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია			
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	34.1	40.8
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	30.1	32.9
სანებართვო მოსაკრებელი	14223	1.9	2.4
samxedro savaldebulo samsaxuris gadavadebis mosakrebeli		0.2	0.2
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის		28.0	30.3
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება		4.0	7.9
Semosavlebi momsaxurebis gawevidan		4.0	7.9
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	90.0	89.6
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	37.0	51.7
არაფინანსური აქტივების კლება	31	66.5	70.8
ძირითადი აქტივები		14.0	14.0
		0.0	0.0
arawarmoebuli aqtivebi		52.5	56.8
miwa		0.0	56.8

ნატალია კობახიძე



საკრებულოს თავმჯდომარე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 12 თვე

ხარჯები	14,715.4	10,245.3
ხარჯები	7,800.0	6,629.2
შრომის ანაზღაურება	1,472.4	1,465.1
ხელფასი	1,472.4	1,465.1
საქონელი და მომსახურება	806.2	742.4
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	99.6	98.8
მივლინებები	16.8	16.6
ოფისის ხარჯები	194.4	175.4
წარმომადგენლობითი ხარჯები	15.0	14.4
რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირველადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები	11.0	10.2
ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები	131.8	119.9
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	307.6	280.8
პროცენტი	53.2	53.1
სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე	53.2	53.1
სუბსიდიები	2,955.2	2,933.2
გრანტები	0.5	0.4
გრანტები და საერთაშორისო ორგანიზაციებს	0.0	0.0
გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	0.5	0.4
სოციალური უზრუნველყოფა	357.0	343.0
სოციალური დახმარება	333.3	322.7
დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	23.7	20.3
სხვა ხარჯები	2,155.5	1,092.0
სხვადასხვა ხარჯები	2,155.5	1,092.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	6,915.4	3,616.1
ძირითადი აქტივები	6,915.4	3,616.1
შენობა ნაგებობები	6,847.1	3,555.2
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	68.3	60.9
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები	2,274.9	2,112.8
მომუშავეთა რიცხოვნობა	124.0	124.0
ხარჯები	2,103.2	2,029.1

შრომის ანაზღაურება	1,392.4	1,385.1
ხელფასი	1,392.4	1,385.1
